

# სულხან-საბა ორბელიანი: ეპოქა ქართვის მხარით

ნოდარ ლაღარია

## შესავალი

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, რომლის მხოლოდ მეორე, იტალიური ნაწილია შემორჩენილი, დაიწერა მე-18 საუკუნის პირველ მესამედში. თვით პარიზიდან რომში მოგზაურობას კი იმავე საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი.

ტექსტი მიეკუთვნება სამოგზაურო ჩანაწერების ან დღიურის ჟანრს, მაგრამ მისი უნიკალობა მდგომარეობს იმაში, რომ წარმოადგენს აღმოსავლელის თვალით დანახულ ევროპას. აქ ერთიერთქმედებაში მოდის ორი კულტურა, რომელთაგან ორივეს აქვს ერთმანეთის ტოლფარდი სამწერლო ტრადიცია, მაგრამ ერთი (ევროპული) მეორეზე განუზომლად მრავალფეროვანია რეალობის იმ ასპექტით, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ვიზუალური.

ორბელიანის თხზულება შედარებულია იმავე ჟანრის ტექსტებთან: 1) მარკო პოლოს „მილიონი“; 2) ლიუტპრანდ კრემონელის ანგარიში ბიზანტიაში ელჩობის შესახებ; 3) ჯოვანი პიანო დი კარპინეს ჩანაწერები 1245 წლის მისიის შესახებ.

შედარებისას გამოკვეთილია შემდეგი პრობლემები: რეალობიდან აღსაწერი ფაქტების შერჩევის სტრატეგია; მთხრობელის პოზიციონირება ნარატივის ობიექტის მიმართ; არანარატიული (რიტორიკული) ელემენტების რაოდენობა და ფუნქცია.

## ძირითადი ნაწილი

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ დაიწერა XVIII საუკუნის პირველ მესამედში. ის წარმოადგენს ავტორის დღიურს, რომელიც აღწერს საფრანგეთში, იტალიასა და მალტაზე ყოფნის წლებს. ცნობილია, რომ საფრანგეთში ორბელიანი იმყოფებოდა ლუი XIV-ის კარზე, იტალიაში კი მისი დიპლომატიური მისიის მთავარი ობიექტი რომის კურია იყო. ჩვენამდე მოაღწია ტექსტის მხოლოდ მეორე ნაწილმა, რომელიც საფრანგეთის მხრიდან იტალიაში შესვლით იწყება.

„ევროპაში მოგზაურობა“ დღემდე ცნობილია ექვსი ხელნაწერით. თხზულება პირველად შემოკლებით დაიბეჭდა 1852 წელს ჟურნალ „ცისკარში“. ამის შემდეგ განხორციელდა მისი რამდენიმე კრიტიკული გამოცემა. ტექსტის გარშემო არსებული მეცნიერული გამოკვლევები მცირერიცხოვანია და, ძირითადად, ფილოლოგიური და ზოგადად ისტორიული ხასიათისაა.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ევროპაში მოგზაურობის“ ღრმა და შინაარსობრივი შესწავლა ჯერ არ დაწყებულა.

თუ ტექსტის კითხვისას შევეცდებით მის შედარებას იმავე ეპოქაში შექმნილ ევროპულ ტექსტებთან, აღმოვაჩინოთ, რომ ქართველი დიპლომატის მზერა და კალამი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ევროპას წარსულიდან ხედავს და აღწერს. უკვე ბევრად ადრე დაწერილი „მოგზაურობა იტალიაში“, რომელიც მიშელ დე მონტენს (1533-1592) ეკუთვნის, აღარ გვთავაზობს ნანახის ზედმეტად ემოციურ ან თუნდაც შეფასებით გადმოცემას. უფრო მეტიც, თხრობის მხოლოდ ერთი ასპექტიც რომ ავიღოთ – დროისა და ადგილის ზუსტი განსაზღვრა – აშკარა გახდება, რომ სულხან-საბა ორბელიანის საგზაო ჩანაწერები იმდროინდელი ევროპული ვითარების ფონზე არსებითი ანაქრონიზმია. ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ მიშელ დე მონტენი დაწვრილებით აღწერს მოგზაურობის მარშრუტს, გზად განლაგებულ დასახლებულ პუნქტებს და ა. შ., ორბელიანი კი საერთოდ არ ზრუნავს, თუნდაც მიახლოებითად მაინც გაუადვილოს მკითხველს იმის გაგება, სად იმყოფება დროის მოცემულ მომენტში.

სხვა სიტყვებით, სულხან-საბა ორბელიანი იყენებს აღწერის იმ ფორმას, რომელიც ორგანულია ბევრად უფრო ადრინდელი, შუასაუკუნეობრივი ეპოქისათვის. აქ გასათვალისწინებელია ორი მომენტი:

- 1) რა თქმა უნდა, ისტორიული პერიოდიზაცია თავისი არსით პირობითია და XVIII საუკუნის დასაწყისისთვის ევროპაშიც არ ყოფილა დაძლეული რეალობის ხედვა, რომელსაც დღეს შუა საუკუნეებს ვუკავშირებთ და არა ახალ დროს (ამ ხედვათა შორის არსებით განსხვავებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი);
- 2) თავისთავად ცხადია, რომ აღწერის ის არსებითი თვისებები, რომლებსაც ჩვენ „ანაქრონისტული“ ვუწოდებთ, არ წარმოადგენს მხატვრულ სტილიზაციას და სრულიად ორგანულია ავტორისათვის.

ქვემოთ ჩამოვთვლით სულხან-საბა ორბელიანის სამგზავრო ჩანაწერების რამდენიმე ყველაზე შესამჩნევ მახასიათებელს, რომელთა თანახმად, ეს ტექსტი შეიძლება, მიჩნეულ იქნეს შუა საუკუნეობრივი ხედვის ნიმუშად.

მართლაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექსტი გამოირჩევა გადმოცემის სიზუსტის საკმაოდ დაბალი ხარისხით, რაც მას აახლოებს XI-XIII საუკუნის ევროპულ ქრონიკებთან ან მისიონერული მოგზაურობის ანგარიშებთან. გადმოცემის სიზუსტის უგულვებელყოფა რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებით არის შესამჩნევი:

ტექსტში ძალიან მიახლოებითად არის წარმოდგენილი ტოპონიმები, რის შედეგად ხშირად ძნელია ამა თუ იმ ადგილის ზუსტი იდენტიფიკაცია. მაგალითად, საფრანგეთი იტალიაში შესვლის მომენტისთვის (ანუ ტექსტის შემორჩენილი ნაწილის დასაწყისში) მოხსენიებულია, როგორც „ფრანცა“, ანუ სიტყვის ჟღერადობაში გვესმის ფრანგული სიტყვა France; უფრო მოგვიანებით, რომში ყოფნისას ავტორი საფრანგეთს მოიხსენიებს, როგორც „ფრანჩა“ – როგორც ვხედავთ, აქ უკვე იტალიური წარმოთქმის გავლენა იგრძნობა. რომ არა ევროპის შემდგომი ისტორია და მისი გავლენა მსოფლიო პროცესებზე, ორბელიანის თანამედროვე მკვლევარს ისეთივე პრობლემები შეექმნებოდა, როგორც, მაგალითად, მარკო პოლოს და გიომო დე რუბრუკის ტექსტებში მოხსენიებული ტოპონიმების თუ ეთნონიმების იდენტიფიკაციისას ექმნება დღეს.

იგივე შეიძლება ითქვას ტექსტში ნახსენები ისტორიული პირების შესახებაც. მაგალითად, რომიდან საფრანგეთში მიმავალი დიდგვაროვანი ქალი ძალიან მიახლოებითად არის აღწერილი და მისი პიროვნების დადგენა ძნელდება: „აქ შემოგვეყარა ლუის მეფის ცოლი, ფრანციაული ქალი იყო. დაქვრივებულიყო, შვილი ჰქონდა დაეგდო. წმინდა პაპას თავისის კატარღები გამოეგზავნა. ფრანციას მივიდოდა: „ასევე რომის კურთხის თანამდებობის პირთაგან ყველაზე ცხადად იდენტიფიცირებულია მხოლოდ კარდინალი საკრიპანტე (Sacripante), თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ მას განსაკუთრებული პოზიცია ეჭირა როგორც თვით კურიაში, ასევე ჩვენი ავტორის მიმართაც. დანარჩენების მიმართ ორბელიანი არანაირ ინტერესს არ ამჟღავნებს. ამ თვალსაზრისით უნდა გავისხენოთ ჯოვანი დელ პიანო დი კარპინეს ანგარიში მონღოლთა ურდოდან. აქ, მაგალითად, ვკითხულობთ: „ვნახეთ, რომ იმპერატორის კარზე არც რუსეთის დიდ მთავარს, არც ქართველთა მეფის ვაჟებს არც მრავალ სულთანს არ მიუღია სათანადო პატივი მათ შორის“<sup>1</sup> – როგორც ვხედავთ, აღწერის ხერხი მსგავსია: იმპერატორად პიანო დი კარპინე მონღოლთა ყაენს იხსენიებს და მისთვისაც უფრო მნიშვნელოვანია ჩამოთვლილ პირთა წოდება, ვიდრე სახელი.

ამავე მიზეზების გამო ორბელიანის თხზულებაში თვით რომის პაპიც წარმოდგენილია, როგორც რაღაც ზოგადი ფიგურა და არა კონკრეტული პიროვნება – ტექსტში მის სახელსაც მხოლოდ ერთხელ ვპოულობთ, ისიც რომაული ეპიზოდის თითქმის ბოლოში. საქმე ეხება კლიმენტ მეთერთმეტეს, ერისკაცობაში ჯან ფრანჩესკო ალბანის (პონტიფიკატი 1700-1721) – მაგრამ ორბელიანი პაპის შესახებ მხოლოდ იმას მოგვითხრობს, რომ დიდგვაროვანია და მხოლოდ ერთი ძმისწული ქალი ჰყავს, რომელიც ბიძის მიზეზით ვერ ქორწინდება.

კიდევ უფრო ძნელია ტექსტში აღწერილი უამრავი არტეფაქტისა და არქიტექტურული ნაგებობის იდენტიფიცირება. ამის მიზეზი რამდენიმეა: ჯერ ერთი, ავტორი დიდ ყურადღებას არ ანიჭებს არც სივრცეში ორიენტირებას და არც მონახულებული ადგილების (მაგალითად, ეკლესიების) ზუსტ დასახელებას: საინტერესოა, რომ ეს მიახლოებითობა მჟღავნდება არა მარტო ერთი ქალაქის, არამედ მთელი მსოფლიოს ფარგლებშიც – ტექსტიდან ვერ გავიგებთ აღწერილი თუ ჩამოთვლილი ობიექტების სივრცულ განაწილებას, ხოლო მალტის ადგილმდებარეობის აღწერისას სავსებით დამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული სხვადასხვა ადგილამდე კუნძულის დაახლოებითი მანძილის დასახელება. მეორეც, ავტორისეული შთაბეჭდილებები არ არის სტრუქტურირებული რაიმე ესთეტიკური იერარქიის მიხედვით: ის ერთნაირი აღტაცებით გვიხატავს რომაული ბაზილიკის ინტერიერსა და რომელიმე კარდინალის კერძო კოლექციაში ნანახ ვეშაპის ნეკნებს. მკითხველის წინაშე წარდგება სრულიად გულუბრყვილო ადამიანი, ერთგვარი *tabula rasa*, რომელსაც მხოლოდ ბუნებრივი მგრძობელობა აქვს, მაგრამ ნანახის შეფასებისას უკიდურესად პრიმიტიულ კრიტერიუმებს ემორჩილება: მაგალითად, ვიზუალური ხელოვნების ნიმუშებში რეალობასთან ილუზორული მსგავსება იტაცებს, არქიტექტურაში შენობის სიდიდე, სვეტების რაოდენობა, გამოყენებული მასალის სიძვირე და ა. შ.

აღსანიშნავია ერთი არსებითი მომენტი: ასეთივე შეფასებებს ვხედავთ, მაგალითად, მარკო პოლოს წიგნში და შარდენის ჩანაწერებშიც, მაგრამ ამ შემთხვევებში მოტივაცია სხვანაირია: მარკო პოლო ვაჭრის თვალთა აფასებს ნანახს და მისი აღწერის ლაკონიურო-

1 Unde vidimus in curia Imperatoris magnum Russiæ ducem, et filium regis Georgianorum, ac Soldanos multos et magnos nullum honorem debitum recipere apud eos.

ბაში იგრძნობა პროფესიონალი. იგივე ითქმის შარდენზეც: როდესაც ფრანგი მოგზაური ქართველი მეფის კარზე გადახდილი ქორწილის აღწერისას გვამცნობს ვერცხლის შანდლებისა და ჭურჭლის სავარაუდო წონას, მასში პროფესიონალი ოქრომჭედელი ლაპარაკობს. რაც შეეხება სულხან-საბა ორბელიანს, აქ საქმე გვაქვს კონკრეტულ მკითხველზე ორიენტირებულ ავტორთან და სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ განსახილველი ტექსტი, მიუხედავად მრავალი მკვეთრად გამოხატული თვისებისა, მაინც არ არის სავესებით შუასაუკუნეობრივი და მასში ნათლად იკითხება ახალი დროისათვის დამახასიათებელი წერის სტრატეგია.

ეს სტრატეგია ძალიან ზუსტად და შინაარსიანად აქვს დახასიათებული იტალიელ მკვლევარს ჯანი ჩელატის სერვატისისადმი მიძღვნილ ესეში „ორმაგი პაროდული თემა“<sup>2</sup> აქ ვკითხულობთ: „დონ კიხოტი ახორციელებს წერის მოდერნულ პრაქტიკას, რომელიც გულისხმობს სამყაროს დისტანცირებულ აღწერას და ამგვარად მის ბიუროკრატიულ ადმინისტრირებას ან რომანიზებულ გამოგონებას (აქ მტკიცდება, როგორ ხშირად ემთხვევა ეს ორი რამ ერთმანეთს)“: როგორც ვხედავთ, ხაზგასმულია ორი რამ: მწერლის დისტანცირება აღწერის ობიექტისაგან და პოლიტიკის გავლენა წერის სტრატეგიაზე.

ჯერ განვიხილოთ სამყაროს დისტანცირებული აღწერა. რა თქმა უნდა, წერის მოდერნულ სტრატეგიაში არ იგულისხმება ის, რომ აღმწერი უბრალოდ უცნოა იმ კულტურული თუ სოციალური გარემოსაგან, რომელსაც აღწერს – ასეთი რამ შეიძლება თავისთავად განხორციელდეს ნებისმიერ ეპოქაში და ხორციელდებოდა კიდევ იმ ტექსტებში, რომლებიც უკვე ვახსენეთ. რუბრუკი, პიანო დი კარპინე და მარკო პოლო, ასე ვთქვათ, დისტანცირებულნი არიან აღწერის ობიექტისაგან, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ეს ობიექტი უცნოა მათთვის. დისტანცირებულობა ამ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ აღმწერი პირველად ხვდება აღწერის ობიექტს, რომლის მსგავსი მის გამოცდილებაში მანამდე არ არსებობდა.

იმისათვის, რომ დისტანცირება გავიგოთ როგორც წერის მოდერნული სტრატეგია, არ არის საკმარისი, რომ აღწერილი რეალობა ავტორისათვის გაუგებარი, მიუღებელი ან მტრული იყოს. მაგალითად, მეათე საუკუნეში მცხოვრები ლიუტპრანდ კრემონელი (922-972), რომელიც იმპერატორ ოტონ III-ის დავალებით იყო ჩასული კონსტანტინოპოლში, უკიდურესად მტრულად არის განწყობილი ბიზანტიური რეალობის მიმართ, რომლის აღწერაც უწევს, მაგრამ ის მაინც არასოდეს გამოდის შუა საუკუნეებისათვის ჩვეული საზღვრებიდან.<sup>3</sup> ამის მიზეზი კი ის არის, რომ აღწერისას ლიუტპრანდი მუდამ რჩება იმპერატორ ოტონის წარმომადგენლად – როგორც მისი პოლიტიკური ემისარი, ასევე როგორც მწერალი. ვნახოთ რამდენიმე ადგილი ლიუტპრანდის ანგარიშიდან:

„ჩვენი უბედურება მძიმდებოდა იმითაც, რომ ბერძნული ღვინო ჩვენთვის გამოსაყენებლად უვარგისი აღმოჩნდა, რადგან თაბაშირისა და ფიჭვის ფისის გემო დაჰკრავდა.“<sup>4</sup>

„ოქროთი და პატიოსანი თვლებით არ ყოფილა შემკული იქ არავინ, გარდა თვით ნიკეფორესი, რომელიც მისი უფრო ახოვანი წინამორბედისათვის წართმეული საიმპერატორო სამოსით კიდევ უფრო მახინჯი ჩანდა. გეფიცებით თქვენს კეთილდღეობას, რომელიც

2 G. Celati, *Il tema del doppio parodico*, in Id., *Finzioni occidentali*, Torino 1975 (nuova ed. 1986), pp. 169-218.

3 Liuntprandus Cremonensis, *Relatione de Legatio Constantinopolitana*, Migne, PL, 136, coll. 909-938

4 Accessit ad calamitatem nostram, quod Graecorum vinum ob picis, taedae, gypsi commixtionem nobis impotabile fuit.

ჩემსაზე უფრო ძვირად მილირს, რომ ერთი თქვენი კარისკაცის სამოსი, ას და მეტ ასეთ სამოსზე ფასეულია“<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, აქ ლიუტპრანდი თვითონ კი არ არის დისტანცირებული აღწერის ობიექტისაგან, არამედ პასიურად გამოხატავს ორ კულტურას შორის არსებულ განსხვავებებსა და პოლიტიკურ კონფლიქტს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძაფრია სიტუაციურ კონტექსტში მისი პირადი ემოციური ჩართულობა, ავტორი მაინც ვერ ახერხებს საკუთარი თავის გამოყოფას და მისგან დამოუკიდებლად არსებული კონფლიქტის ენაზე „თარგმნის“ პირად წყენასაც კი.

იგივე ვითარება იქმნება ჯოვანი დელ პიანო დი კარპინეს შემთხვევაშიც. ეს ავტორი ბევრად უფრო მშვიდი და, ასე ვთქვათ, ემოციურად ნეიტრალურია, მაგრამ აქაც ვპოულობთ როგორც საკვების შეუთავსებლობას, ასევე ეთიკურ მიუღებლობას, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ აღნიშნავს პირადად ავტორსა და აღსაწერ რეალობას შორის მანძილს, რადგან ეს არის დისტანცია ორ კულტურას შორის, რომელთაგან მხოლოდ ერთს ეკუთვნის ავტორი. მსგავსება ლიუტპრანდის ტექსტთან მეტად ნიშანდობლივია:

„მათ მიგვიწვიეს თავისთან და გაგვიმასპინძლდნენ მათი ლუდით, რადგან ჩვენ ფაშატის რძეს არ ვსვამდით. ეს კი ჩვენდამი დიდი პატივისცემის ნიშნად ქმნეს“<sup>6</sup>

თითქმის შეუძლებელია ასეთივე სწორხაზოვანი დასკვნების გამოტანა მარკო პოლოს შემთხვევაში. ამ ავტორის კულტურული იდენტობა ბევრად უფრო რთულია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სხვა მომენტი – წერის მოტივაცია. მარკო პოლოს ზეპირი მონათხრობი, რომელიც გენუაში პატიმრობისას რუსტიჩანო პიზელმა ჩაიწერა, მიზნად ისახავს მკითხველის გაკვირვებას, მის მთლიანად გადატანას უცხო სამყაროში, რის გამოც საერთოდ ქრება ავტორის „მშობლიური“ სამყარო, ქრისტიანული ვენეცია, რომელიც უნდა ყოფილიყო დისტანციის ერთ-ერთი ტერმინუსი.

ერთი შეხედვით, სულხან-საბა ორბელიანის ტექსტი მთლიანად თავსდება რეალობასთან მიმართების შუასაუკუნეობრივ ტრადიციაში. მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგვრჩეს მხოლოდ მაშინ, თუ შევეცდებით ტექსტის, როგორც ტურისტული გზამკვლევის გამოყენებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაშინვე წარმოიშობა ადგილების იდენტიფიკაციის თითქმის გადაულახავი პრობლემები. მაგრამ არსებობს ტექსტის ერთი არსებითი თვისება, რომელზე დაკვირვება შესაძლებელია მხოლოდ მოდერნული პერიოდის ტექსტებში. ეს თვისებაა რეალობისაგან დისტანცირების კონკრეტული ფორმა, რომელსაც ამკარად და არაორაზროვნად ავლენს სულხან-საბა ორბელიანის თხზულება.

დისტანცირება, ამ სიტყვის მოდერნული მნიშვნელობით, წარმოადგენს რეფლექსირებულ კონფლიქტს რეალობასთან. სულხან-საბა ორბელიანი არა მარტო აცნობიერებს კულტურათა შორის დისტანციის არსებობას და მის სიდიდეს, არამედ აღიქვამს მას, როგორც დასაძლევ დაბრკოლებას. ამგვარი მიდგომა უცხოა შუა საუკუნეებისათვის, როცა საზღვარი უძრავი და დაუძლეველია.

5 Nemo ibi auro, nemo gemmis ornatus erat, nisi ipse solus Nicephorus, quem imperialia ornamenta, ad majorum personas sumpta et composita, foediorem reddiderant. Per salutem vestram, quae mihi mea carior extat, una vestrorum pretiosa vestis procerum, centum horum et eo amplius pretiosior est!

6 Nos autem vocaverunt interius, et dederunt nobis cerevisiam: quia iumentinum lac non bibebamus. Et hoc quidem nobis pro magno fecerunt honore

აღნიშნული გარემოება ტექსტში ორგვარად არის გამოხატული. პირველი ხერხი უფრო მეტად არის ვარაუდზე დამყარებული: ორბელიანი ზოგჯერ ევროპის ბუნებას, განსაკუთრებით კი რელიეფს ადარებს საქართველოს. ლიგურიის ერთ-ერთი კონცხი მას მეტეხის კლდეს აგონებს, ლაციუმის დაბლობი – სამეგრელოს. უფრო იშვიათად ვრცელდება მსგავსი პარალელები არტეფაქტებზე, მაგრამ მაინც გვესმის, როგორ მოუთხრობს ორბელიანი კარდინალებს ვახტანგ მეექვსის პირად კოლექციაში დაცულ იშვიათ საგნებზე. არსად არ არის პარალელი, რომელიც ხაზს გაუსვამდა საქართველოს ჩამორჩენილობას ევროპასთან შედარებით. თუმცა ამ ჩამორჩენილობას ავტორი ირიბად მაინც აღიარებს და სწორედ ეს არის მეორე ხერხი: ორბელიანი დაუფარავი ემოციით ამბობს: „ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას.“ სხვაგან მოცემულია პაპის სიტყვები: „მიბძანა: მიხარიან, რომში დიდი ხმა დაგვივარდაო, კარგა იქცევით და ჭკვიანადო.“ ასევე იეზუიტთა ეკლესიის ერთ-ერთი საკურთხევლის შესახებ – აქ საბა გვამცნობს, რომ ძველი საკურთხევლის დანგრევას აპირებდნენ, მის ადგილზე კი ახლის აშენებას. ამის შემდეგ ვკითხულობთ: „ჩვენის ქვეყნის კაცისთვის ის გაკეთებაც სანატრელი იყო, რომელსაც მოშლას უპირობდნენ“.

კიდევ მრავალგან ჩანს იმის რეფლექსია, რომ ორ კულტურას შორის საზღვარი არ არის თავისთავადი ღირებულება, რომელიც დაცვას საჭიროებს; რომ არსებობს ღირებულებათა ერთიანი სკალა, რომლის გასწვრივ შესაძლებელი და სასურველია მაღლა მოძრაობა.

ამგვარი განწყობის გამოხატვა ტექსტში სუბიექტური თვალსაზრისების შემოტანით ხდება. აი, ერთ-ერთი მათგანი: „კონსტანტინეპოლის სამი კუთხე შემოუარეთ. იქიდან კარგა გავსინჯე. ხომალდიდამაცა. დიდი ქალაქია და მრავალი შენობა, მაგრამ საფრანგეთი-დამ მოსულს აღარას მოგვეწონა. ოღონ ადგილი მისთანა არსად არის, თვარა შენობა და სხვა რამე არად გვეჩვენა.“ ეს „აღარ მოგვეწონა“ და „არად გვეჩვენა“ – აღარ არის შუა საუკუნეების დროინდელი შეფასება, რომელიც გულისხმობს საბოლოო განაჩენს: „ცუდია“, „მიუღებელია“, „უვარგისია“.

ავტორს განაჩენი კი არ გამოაქვს, არამედ სუბიექტურ არჩევანს აკეთებს ორ კულტურას შორის. შეფასების ეს სუბიექტურობა, რომელიც თავისთავად უფრო ახლოს დგას მოდერნთან, ვიდრე შუა საუკუნეებთან, ირიბად მიუთითებს იმაზე, რომ ავტორის წარმოდგენაში არსებობს კულტურათა ერთგვარი უწყვეტი იერარქიული სისტემა, რომლის ფარგლებში რომი უფრო მაღლა დგას, ვიდრე კონსტანტინოპოლი და ამიტომაც სწორედ რომი უნდა იქნეს საქართველოსათვის მომავალი განვითარების ნიმუში.

სულხან-საბა ორბელიანის ტექსტში ცხადად შეგვიძლია დავაკვირდეთ, როგორ წარმოიშობა რეალობის შუასაუკუნეობრივი აღქმიდან სრულიად ახალი, აქტიური და ფართო ხედვა. მისი წარმოშობის კონკრეტული საფუძველი კი კულტურული შოკით გამოწვეული ემოციური მდგომარეობაა.

## დასკვნა

მიუხედავად დასავლეთის ამკარა კულტურული უპირატესობისა, რომელსაც ავტორი არა მარტო ცხადად, არამედ მწვავედ და მტკიცებულად აცნობიერებს, იგი არასოდეს ამჟღავნებს პესიმიზმს, არამედ იმედს ამყარებს არჩევანის თავისუფლებაზე. გულუბრყვილოდ დანახული განსხვავებები, მათი მიზეზების ღრმად წვდომის უუნარობა, რაც ცალსახად შუასაუკუნეობრივი ადამიანის მენტალური ატრიბუტია, არ უშლის ხელს სულხან-საბა ორბელიანს, დაიჭიროს არა მარტო აღფრთოვანებული მაყურებლის, არამედ აქტიური პოლიტიკური ლიდერის პოზიცია. რა თქმა უნდა, ამ პოზიციის განხორციელება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი რეფლექსირების დონე მიგვიჩვენებს, რომ სულხან-საბა ორბელიანის აზროვნებამ ერთი საწყისი ნაბიჯით მაინც შეძლო შუასაუკუნეობრივი საზღვრის გადალახვა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, „მემკვიდრეობა“, თბილისი, 2005.
2. მარკო პოლო, *ქვეყნიერების მრავალფეროვნებისათვის*, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო, ნოდარ ლადარიამ, GAMS-Print, თბილისი, 2010.
3. *The Texts and Versions of John de Plano Carpini and William de Rubruquis as Printed for the first time by Hakluyt in 1598 together with some short pieces*, Ed. by C. Raymond Beazley, London 1903.
4. Liutprandus Cremonensis, *Relatione de Legatio Constantinopolitana*, Migne, PL, 136, coll. 909-938.
5. G. Celati, *Il tema del doppio parodico*, in *Id., Finzioni occidentali*, Torino 1975 (nuova ed. 1986).